მემორანდუმი

ა(ა)იპ „ქრიეთივ სპარკ" ახორციელებს საქართველოში კულტურის და შემოქმედების სფეროს კვლევასა და ანალიზს თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს კულტურულ-ტურისტული პოტენციალის შესწავლას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ა(ა)იპ „ქრიეთივ სპარკის" მიზანია, გამოავლინოს ქვეყნის მასშტაბით კულტურული მარშრუტები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას, პოპულარიზაციას და ინტერნაციონალიზაციას; ასევე ხელი შეუწყოს მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების, ასევე მათი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.

თავის მხრივ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია, აღნიშნულ პროექტებში შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა ჩართულობის გზით ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას, რაც უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადების საწინდარია. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს,

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „ქრიეთივ სპარკ"** (ს/კ 405313557), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ინაშვილის სახით,

მეორეს მხრივ, **სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**, წარმოდგენილი მისი რექტორის მაია ჭიჭილეიშვილის სახით,

სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროექტით დაინტერესებული და წარჩინებული სტუდენტების შერჩევას, ხოლო თავის მხრივ ა(ა)იპ „ქრიეთივ სპარკი" უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში მათ და სურვილის/საჭიროების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის კვლევებში/ტრენინგებში/სემინარებში/ვორქშოპებში ჩართულობას, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების პირობით (მაგ. ტრანსპორტირების ხარჯი და სხვ.);

1.2. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იმიტირებული თამაშების - ჰაკატონის პრინციპით შერჩეული სტუდენტებისგან ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომელთაც შესაძლებლობა მიეცემათ დაესწრონ სემინარებს, ვორქშოპებს, გაიღრმავონ აკადემიური ცოდნა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. სტუდენტები შეძლებენ თავად გახდნენ რომელიმე კონკრეტული მარშრუტის თანაავტორები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მათი კარიერული განვითარების პროცესში;

1.3. მხარეები, ასევე, გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ შემდეგი მიმართულებებით:

ა) დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა სახის ერთობლივი ღონისძიებები;

ბ) გამოიყენონ საკუთარი ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ერთობლივი პროექტების, ტრენინგების, სემინარების და ა.შ. განსახორციელებლად;

გ) საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შექმნან შესაძლებლობები წარმატებული სტუდენტებისათვის სტაჟირების გასავლელად ან/და დასასაქმებლად, გასცენ რეკომენდაცია, დახასიათება ან/და სხვ.

მუხლი 2

მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობის შესაბამისად.

მუხლი 3

მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიტანონ შესწორებები ამ მემორანდუმში, რომლებიც გაფორმდება ცალკე მემორანდუმების სახით და ძალაში შევა იმავე წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ამ მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის. ზემოხსენებული წესით მიღებული მემორანდუმები იქნება წინამდებარე მემორანდუმის განუყოველი ნაწილი და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

მუხლი 4

ნებისმიერ მხარეს შეუძლია მემორანდუმის შეწყვეტა მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მემორანდუმი მოქმედებას შეწყვეტს ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 90-ე (ოთხმოცდამეათე) დღეს.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის 2019 წლის 21 თებერვლიდან, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 6

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2019 წლის 21 თებერვალს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

მუხლი 7

ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის მემორანდუმის ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

ა(ა)იპ „ქრიეთივ სპარკ"-ს დირექტორი

თ.ინაშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

მ.ჯიჯილეიშვილი